

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
2011 წლის 15 ივლისის სხდომის  
ოქმი №14

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან ესწრებოდა 21. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკოძე.

სხდომის თაემჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-სთან „ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ტექნიკური მომსახურების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №473 – მომხსენებელი პროფ. ვახტანგ კვარაცხელია.

**პროფ. ვახტანგ კვარაცხელია:** წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-სთან „ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ტექნიკური მომსახურების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 ივლისის №14 სხდომაზე პროფ. ვახტანგ კვარაცხელიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ტექნიკური მომსახურების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის დადგენილება №473.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საკითხი სტუ-სთან „ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ტექნიკური მომსახურების ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დაამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-სთან „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის გეოინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №477 – მომხსენებელი პროფ. სერგო ცირამუა.

**პროფ. სერგო ცირამუა:** წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-სთან „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის გეოინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

ჩვენ გვინდა შევქმნათ ტურიზმის გეოინფორმაციული სისტემა, სადაც ტურისტული მარშრუტები, სასტუმროები, კვების ობიექტები, ისტორიული ძეგლები და სხვადასხვა ტურისტული ობიექტები განლაგდება პირდაპირ სატელიტურ რუკაზე. ყველასთვის ცნობილია Google-ს რუკა და დაახლოებით მაგის მსგავსი კეთდება, ანუ ვირტუალური მოგზაურობა იქნება შესაძლებელი.

ასევე, ჩაფიქრებული გვაქვს როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო მოღვაწეობა, სადაც ჩართული იქნებიან ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები.

**სპიკერი:** საიდან გექნებათ დაფინანსება?

**პროფ. სერგო ცირამუა:** ჩვენს საქმიანობას დააფინანსებენ დონორი ორგანიზაციები.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტთან თქვენს ცენტრს არ აქვს ურთიერთობა?

**პროფ. სერგო ცირამუა:** ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით.

**სპიკერი:** ბატონო სერგო, ძალიან კარგი იქნება, თუ ტურიზმის დეპარტამენტს, ჩვენი უნივერსიტეტის სახელით, თქვენ ოფიციალურად აცნობებთ, რომ ასეთი ცენტრი ჩამოყალიბდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და გინდათ მათთან თანამშრომლობა.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია:** რა სიზუსტითაა საქართველოს ტერიტორიის ტურისტული ნაწილი აღებული სატელიტიდან?

**პროფ. სერგო ცირამუა:** ელექტრონულ რუკებზე სანტიმეტრების სიზუსტითაა დატანილი ყველაფერი. ზუსტი ინფორმაცია იქნება გზების შესახებაც.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

## **გ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 ივლისის №14 სხდომაზე პროფ. სერგო ცირამუამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის გეოინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის დადგენილება №477.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საკითხი სტუ-სთან „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის გეოინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ფერადი ლითონების მეტალურგიის მიმართულების ასოც. პროფესორის ლევან ჩხიკვაძის განცხადების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №481 – მომხსენებელი პროფ. ნუგზარ წერეთელი.

**პროფ. ნუგზარ წერეთელი:** ბატონი ლევანი გახლავთ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი, მას სჭირდება ოპერაცია, კერძოდ გულის შუნტირება, რაც დაახლოებით ღირს 10 000 ლარი. სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა ოპერაციის დაფინანსებაზე. აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა ამის შესახებ, გამოხატა კეთილი ნება და სთხოვა წარმომადგენლობით საბჭოს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს ოპერაციის დაფინანსება.

**სპიკერი:** ჩვენ პრინციპულად თანახმანი ვართ, მაგრამ ვერ განვსაზღვრავთ თანხის რაოდენობას, ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა შესაძლებლობა აქვს ადმინისტრაციას.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ადმინისტრაციამ უნდა განსაზღვროს რომელ მუხლშია რეზერვი და საიდან შეიძლება ამ ფულის მოძიება. ჩვენი წინადადებაა, რომ ადმინისტრაციამ შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინოს დახმარება ბატონ ლევანს.

**პროფ. იგორ კვესელავა:** ასეთი გადაწყვეტილებით იქმნება პრეცედენტი და მომავალში იქნება კიდევ მსგავსი თხოვნები.

**სპიკერი:** მართალს ბრძანებს ბატონი იგორი, ამიტომ პროფესიულმა კავშირმა უნდა უზრუნველყოს, რომ აღარ განმეორდეს ასეთი ფაქტები სადაზღვევო კომპანიის მხრიდან. თუ მსგავსი თხოვნები გახშირდება, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებით.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ნამდვილად პრეცედენტია ეს ფაქტი და კიდევ შემოვა ასეთი სახის განცხადებები, რასაც ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტი ვერ გაუძლებს. ამიტომ წინასწარ უნდა განვსაზღვროთ, თუ რისი საშუალება გვექნება. შევქმნათ დახმარების ფონდი, დავწეროთ დებულება და ვიმოქმედოთ ამ დებულების შესაბამისად. დღეს გავაკეთოთ გამონაკლისი.

**სპიკერი:** ბატონო დავით, მე მაქვს წინადადება: მივწეროთ წერილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და მივუთითოთ, რომ შემოწმდეს სადაზღვევო კომპანიის ვალი. ჩვენ დღეს არ გამოგვივა უარის თქმა. თუმცა პრეცედენტია ნამდვილად.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

### ბ ა დ ა ო რ ე ბ ა № 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 ივლისის №14 სხდომაზე პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ფერადი ლითონების მეტალურგიის მიმართულების ასოც.

პროფესორის ლევან ჩხიკვაძის განცხადების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის დადგენილება №481.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა: შესაძლებლობის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭო არ იქნება წინააღმდეგი ოპერაციასთან დაკავშირებით ფინანსური დახმარება გაუწიოს პროფ. ლ. ჩხიკვაძეს.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის შესახებ – მომხსენებელი ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე.

**ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე:** ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ შემოტანილია საკითხი წარმომადგენლობით საბჭოზე განსახილველად, რომელიც შეეხება სტუ-ს 2010 წლის 29 სექტემბრის №130 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 განკარგულების შესაბამისად სტუ-ს ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერას.

მოგახსენებთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილია კომისია და არსებობს მისი დასკვნა. კომისია ითხოვს წარმომადგენლობითმა საბჭომ განიხილოს აღნიშნული საკითხი და შუამდგომლობა გაუწიოს მას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე, რათა ჩამოწერის შესახებ დოკუმენტაცია შეითანხმოს მან. ეს გახლავთ 2 700 000 ლარის ძირითადი საშუალებები და რაოდენობრივად გახლავთ 7 785 ერთეული. წარმატებულად მიმჩნია ამ კომისიის მუშაობა, რადგან ტექნიკური უნივერსიტეტის არსებობის მანძილზე ასეთი ჩამოწერა არ გაკეთებულა და ჩვენ კი ვიხდიდით ქონების გადასახადს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** არსებული დოკუმენტაციის შემოწმება ჩვენი მხრიდან შეუძლებელია, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პოლიტიკას დავუჭიროთ მხარი. არსებობს კომისიის და აუდიტის დასკვნა და სწორედ ისინი იქნებიან აღნიშნული საკითხის სისწორესთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირები.

**სპიკერი:** ეს არის პროცედურული საკითხი და ჩვენ თანხმობას ვაცხადებთ, რომ იგი შეთანხმდეს სამინისტროსთან.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 ივლისის №14 სხდომაზე საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბ-ნმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული (გამოუყენებელი) ქონების ჩამოწერის შესახებ.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია, მიეცეს თანხმობა ადმინისტრაციას აღნიშნული დასკვნა შესათანხმებლად წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ – მომხსენებელი ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე.

**ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე:** წარმოგიდგენთ საკითხს 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ:

1. ინსტიტუტ „ტექნიფორმის“ ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში მოხდეს შემდეგი მუხლობრივი ცვლილება:

III კვარტალში ინტერნეტის ხარჯების მუხლიდან 400 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლში.

2. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზაციის მუხლიდან 3000 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლში;

3. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების სტუდენტთა საქსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებიდან 10 000 ლარი, სპორტული ღონისძიებებიდან 3 000 ლარი და მივლინებიდან 2 000 ლარი, სულ ჯამში 15 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში;

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებიდან 13 000 ლარი გადატანილ იქნეს სასტუმროს მომსახურების ხარჯების პუნქტში;

4. სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში 2011 წლის IV კვარტალში დაგეგმილი პრემიის მუხლიდან 1 200 ლარი გადატანილ იქნეს III კვარტალში:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების: 1 000 ლარი – მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებში და 500 ლარი – სუვენირების შექმნის ხარჯებში;

5. მცხეთა-თბილისის ეპარქიის ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიის 2011 წლის 14 ივლისის №04-14/07 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ტაძრის კანკელის მშენებლობასა და მოხატვას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2010 წლის წლიური საბალანსო მოგებიდან გადაირიცხოს 1 000 ლარი წმ. მარინეს ეკლესიის წერილში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებიდან „მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შექმნის“ ხარჯებიდან 8 200 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების „მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების შექმნის“ ხარჯების პუნქტში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 ივლისის №14 სხდომაზე ბ-ნმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:*

1. ინსტიტუტ „ტექნიფორმის“ ბიუჯეტში და ნაერთ ბიუჯეტში მოხდეს შემდეგი მუხლობრივი ცვლილება:

III კვარტალში ინტერნეტის ხარჯების მუხლიდან 400 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლში.

2. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზაციის მუხლიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლში;

3. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების სტუდენტთა საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებიდან 10 000 ლარი, სპორტული ღონისძიებებიდან 3 000 ლარი და მივლინებიდან 2 000 ლარი, სულ ჯამში 15 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვის, მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში;

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებიდან 13 000 ლარი გადატანილ იქნეს სასტუმროს მომსახურების ხარჯების პუნქტში;

4. სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში 2011 წლის IV კვარტალში დაგეგმილი პრემიის მუხლიდან 1 200 ლარი გადატანილ იქნეს III კვარტალში:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების: 1 000 ლარი – მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯებში და 500 ლარი – სუვენირების შეძენის ხარჯებში;

5. მცხეთა-თბილისის ეპარქიის ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიის 2011 წლის 14 ივლისის №04-14/07 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ტაძრის კანკელის მშენებლობასა და მოხატვას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2010 წლის წლიური საბალანსო მოგებიდან გადაირიცხოს 1 000 ლარი წმ. მარინეს ეკლესიის წერილში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. სატრანსპორტო და მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებიდან „მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის“ ხარჯებიდან 8 200 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების „მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების შეძენის“ ხარჯების პუნქტში.



**სპიკერი:** მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონთან დაკავშირებით. რამდენიმე დღეა ამაზე მუშაობს აკადემიური საბჭო, დაგროვდა გარკვეული ინფორმაციები და მინდა თქვენც იცოდეთ. კანონში შევიდა ცვლილება, სადაც იკითხება ასეთი რამ, რომ მთავრობა წყვეტს სახელმწიფო უნივერსიტეტების მიმართ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. შემოგვთავაზეს 2 სახის ფორმა: ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც დღეს ვართ და მეორე, კერძო სამართლის იურიდიული პირისა, ოღონდ არასამეწარმეო. გადაწყვეტილებას დებულობს მთავრობა. რაც შეეხება არასამეწარმეო კერძო სამართლის იურიდიულ პირს, კანონმდებელი გვეუბნება, რომ ჩვენ გვაქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ჩვენი ძირითადი ფუნქცია, ანუ ეს უნდა იყოს დამხმარე ფუნქცია და აქედან შემოსული თანხა რჩება უნივერსიტეტს განვითარებისათვის. აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა ამის თაობაზე და, ძირითადად, მაინც უპირატესობა მიანიჭა კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ჩვენს დაფუძნებას, რადგან ჩვენს უნივერსიტეტს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო საქმიანობა კანონით დაშვებულ სამეწარმეო საქმიანობასთან ერთად.

თუ დავრჩით იგივე სტატუსით, ხელუხლებლად დარჩება ყველა მმართველი ორგანო, მათ შორის წარმომადგენლობითი საბჭო, ხოლო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნდა ჩვენი დაწესებულება, მაშინ ჩვენს ფინანსურ საქმიანობას მთავრობის სახელით გააკონტროლებს რეგენტთა საბჭო, რომელიც შეიქმნება მთავრობასთან. რეგენტთა საბჭო იქნება კოლეგიური ორგანი, რამდენიმე სამინისტროს მონაწილეობით. ფინანსებთან დაკავშირებული ყველა ჩვენი გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცემა რეგენტთა საბჭოს. საინტერესოა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას წარმოადგენს რეგენტთა საბჭო და ჩვენ უნდა დავამტკიცოთ მისი რეკომენდაციით. ასეთი სპეციფიკით ხასიათდება სიახლეები “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში.

შეიძლება ვინმემ იკითხოს: თუ დავფუძნდებით კერძო სამართლის იურიდიულ პირად, მაშინ იქნება თუ არა წამომადგენლობითი საბჭო? კანონმდებელმა გადაწყვიტა, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია

იყოლიოს მინიმუმ ერთი კოლეგიური ორგანო, ან შეიძლება ჰყავდეს ერთი, ორი ან მეტი. მაგრამ არსებობს ასეთი მოთხოვნა, რომ თუ გყავს ერთი წარმომადგენლობითი ორგანო, იქ უნდა იქნენ წარმოდგენილი სტუდენტები, ხოლო აკადემიურ საბჭოში სტუდენტების შეყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობა აუცილებელია.

**სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახიკოძემ** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, მან მაღლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახიკოძე

სხდომის მდივანი,  
სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი